

მიიღებს თუა არა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა ბუნებრივი აირის ვაუჩერს?



“კომერსანტის” მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებმა მოსახლეობამ, შესაძლოა, ბუნებრივი აირის ვაუჩერი აღარ მიიღოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობა ჯერ ისევ ფიქრობს, რადგან ამისთვის 2018 წლის ბიუჯეტში თანხა გათვადისწინებული არ არის.

გასულ წელს 11 894 ოჯახისთვის 200 დარიანი ვაუჩერის გადასაცემად მთავრობამ 2, 378 ათასი დარი გამოყო.

საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა საქართველოს მთავრობისგან დახმარებას ითხოვს. ადგილობრივთა დიდი ნაწილი ბამთარს მოუმიზანდებელი შეხვდა. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ადგილობრივები ამბობენ, რომ ბუნებრივი აირი ძვირია და მწირი შემოსავლის გამო გადასახადებს ვერ იხდიან. ამიტომ ხშირად შეშის ღუმელით გათბობა უწევთ. თუმცა აქ მეორე პრობლემა ჩნდება. ფიჩხს გრეხები საოკუპაციო ხაზთან მდებარე ტყეში აგროვებენ, რის გამოც ოკუპანტების სამიზნე ხშირად ხდებიან. ადგილობრივებს ოკუპანტები ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით აკავებენ და მათ ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ.

2017 წლის თებერვარში მთვარობის გადაწყვეტილება, ე.წ. საზღვართან მცხოვრები მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის ვაუჩერის გადაცემასთან დაკავშირებით შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში **სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხედაშვიდმა გაახმოვანა**. აპირებს თუ არა 2018 წელს ხერისუფლება 200 დარიანი ვაუჩერის ჩანაცვლებას

ან რაიმე სახის შეღავათების დაწესებას ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებლებსთვის – „კომერსანტი“ სწორედ აღნიშნულ უწყებას დაუკავშირდა. შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო აპარატში ჯერჯერობით ვერც ადასტურებენ და ვერც უარყოფენ დაურიგდება თუ არა ბუნებრივი აირის ვაუჩერი მოსახლეობას.

„ამაზე ვმუშაობთ, თუმცა ჯერ ვერაფერს ვეტყვით, რადგან გადაწყვეტილება მიღებული არ არის. სავარაუდოდ უახლოეს დღეებში დასრულდება სამუშაო პროცესი და შემდეგ გავავრცელებთ ინფორმაციას“, - განმარტავენ უწყებაში.

ადგილობრივებისთვის გამთარში ბუნებრივი აირის მოხმარებისთვის 200 ლარიანი დახმარებაც მიზერული იყო, თუმცა მათ მიერ არჩეულმა ხედისუფლებამ ახლა შესაძლოა, ამამეც უარს უთხრას.



ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებლების სოციალური პრობლემები მთავრობასთან ერთად ადგილობრივი ხედისუფლების პასუხისმგებლობაცაა. ამიტომ „კომერსანტი“ დაინტერესდა, რას აპირებს ადგილობრივი ხედისუფლება ამ ადამიანების დასახმარებლად. როგორც შიდა ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ბუნებრივ აირზე ვაუჩერების გაცემა ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენციაა.

„აქ ბიუჯეტორების საკითხია. ვაუჩერების გაცემა ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენციაა. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლება იმ მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, რომელიც აქვს და, რომელიც მიმართულია უფრო კონკრეტული პროექტებისკენ, ასეთ საკითხებს ვერ უზრუნველყოფს. რაც შეეხება ამ დაფინანსების საკითხს, არც გუბერნატორის ადმინისტრაციის და არც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის. ჯერ პროგრამული ბიუჯეტი შემუშავებული არ არის შესაბამისად, არ არის განსაზღვრული, იქნება თუ არა ამ მიმართულებით ბიუჯეტში რაიმე თანხა გამოყოფილი საზღვრისპირა მცხოვრები მოსახლეობისთვის“, - განაცხადადეს შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაში.

რატომ ხდება ბუნებრივი აირისთვის დახმარების გამოყოფა თებერვარში, როცა ზამთარი დეკემბერში იწყება? როგორ შეძრებენ ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებლები ცივ ზამთართან გამკლავებას სახელმწიფოსგან ყოველგვარი დახმარების გარეშე და გადაწყვეტს თუ არა მთავრობა ახალი დადგენილების მიღებას 2018 წელს, ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ ის, რომ ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, ისიც ფაქტია.

commercant.ge